

შპს ალფა კაპიტალ ედვაიზორი
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
და
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა	9
2 მომზადების საფუძველი	9
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	9
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	16
5 არამატერიალური აქტივები	17
6 ძირითადი საშუალებები	17
7 ფული და ფულის ეკვივალენტები	17
8 გადახდილი ავანსები	17
9 სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	17
10 საგადასახადო ვალდებულება	17
11 სუბორდინირებული სესხი	17
12 საწესდებო კაპიტალი	17
13 შემოსავალი მომსახურებიდან	17
14 სხვა შემოსავალი	18
15 კურსთაშორისი სხვაობის ხარჯი	18
16 კვლევის ხარჯი	18
17 პროფესიული მომსახურების ხარჯი	18
18 სხვა ხარჯი	18
19 წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი	18
20 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები	21
21 ფინანსური რისკების მართვა	22
22 დაკავშირებული მხარეები	22
23 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	22
24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადეკვატური კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში, ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ირაკლი ელაშვილი

ლევან წუწუნავა

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

მმართველი პარტნიორი

თარიღი: 28 მარტი, 2024

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადეკვატური კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში, ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



ირაკლი ელაშვილი

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

თარიღი: 28 მარტი, 2024



ლევან წუწუნავა

მმართველი პარტნიორი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორის" დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს****მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შესაბამეა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნობთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩნია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა, თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვას კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შედგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 28 მარტი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს "ალფა კაპიტალ ელვანიზორი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	5	5,000	5,000
ძირითადი საშუალებები	6	7,349	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,349	5,000
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	158,943	155,405
გადახდილი ავანსები	8	2,500	5,961
სხვა მოთხოვნები		-	152
სულ მიმდინარე აქტივები		161,443	161,518
სულ აქტივები		173,792	166,518
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი	12	174,048	162,748
სუბორდინირებული სესხი	11	2,976	-
აკუმულირებული ზარალი		(10,603)	49
სულ კაპიტალი		166,421	162,797
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	9	6,115	3,188
სავადასახადო ვალდებულება	10	1,256	533
სულ ვალდებულებები		7,371	3,721
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		173,792	166,518

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ირაკლი ელაშვილი

ლევან წუწუნავა

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

მმართველი პარტნიორი

თარიღი: 28 მარტი, 2024

შპს "ალფა კაპიტალ ელვანიზორი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	5	5,000	5,000
ძირითადი საშუალებები	6	7,349	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,349	5,000
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	158,943	155,405
გადახდილი ავანსები	8	2,500	5,961
სხვა მოთხოვნები		-	152
სულ მიმდინარე აქტივები		161,443	161,518
სულ აქტივები		173,792	166,518
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი	12	174,048	162,748
სუბორდინირებული სესხი	11	2,976	-
აკუმულირებული ზარალი		(10,603)	49
სულ კაპიტალი		166,421	162,797
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	9	6,115	3,188
სავადასახადო ვალდებულება	10	1,256	533
სულ ვალდებულებები		7,371	3,721
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		173,792	166,518

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



ირაკლი ელაშვილი

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

თარიღი: 28 მარტი, 2024



ლევან წუნუნავა

მმართველი პარტნიორი

შპს "ალფა კაპიტალ ელვიაზორი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

შემოსავლები	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	13	485,041	281,989
სხვა შემოსავალი	14	3,000	4,760
სულ შემოსავლები		488,041	286,749
საოპერაციო ხარჯები			
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი	19	(12,492)	-
პროფესიული მომსახურების ხარჯი	17	(9,086)	(2,702)
საოფისე ხარჯი		(1,995)	
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(1,131)	-
ბანკის მომსახურების ხარჯი		(577)	(1,613)
კურსთაშორისი სხვაობის ხარჯი	15	(112)	(27,814)
კვლევის ხარჯი	16	-	(4,296)
სხვა ხარჯი	18	(2,126)	(4,322)
სულ საოპერაციო ხარჯები		(27,519)	(40,747)
მოგება დაბეგვრამდე		460,522	246,002
მოგების გადასახადი		(70,983)	(37,600)
პერიოდის მოგება		389,539	208,402

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ირაკლი ელაშვილი

ლევან წუწუნავა

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

მმართველი პარტნიორი

თარიღი: 28 მარტი, 2024

შპს "ალფა კაპიტალ ელვიაზორი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

შემოსავლები	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	13	485,041	281,989
სხვა შემოსავალი	14	3,000	4,760
სულ შემოსავლები		488,041	286,749
საოპერაციო ხარჯები			
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი	19	(12,492)	-
პროფესიული მომსახურების ხარჯი	17	(9,086)	(2,702)
საოფისე ხარჯი		(1,995)	
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(1,131)	-
ბანკის მომსახურების ხარჯი		(577)	(1,613)
კურსთაშორისი სხვაობის ხარჯი	15	(112)	(27,814)
კვლევის ხარჯი	16	-	(4,296)
სხვა ხარჯი	18	(2,126)	(4,322)
სულ საოპერაციო ხარჯები		(27,519)	(40,747)
მოგება დაბეგვრამდე		460,522	246,002
მოგების გადასახადი		(70,983)	(37,600)
პერიოდის მოგება		389,539	208,402


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



ირაკლი ელაშვილი

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

თარიღი: 28 მარტი, 2024



ლევან წუნუნავა

მმართველი პარტნიორი

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება დაბეგვრამდე		460,522	246,002
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		1,131	-
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებისგან		112	27,814
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		461,765	273,816
სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		152	(152)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება		3,461	(5,961)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)		2,927	(469)
საგადასახადო ვალდებულების ზრდა/(შემცირება)		723	533
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		469,027	267,768
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებები		(8,480)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(8,480)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		11,300	-
მიღებული სუბორდინირებული სესხი		2,976	-
გაცემული დივიდენდი		(380,182)	(200,000)
გადასახადები		(90,991)	(48,126)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(456,897)	(248,126)
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/(შემცირება)		3,650	19,642
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		155,405	163,577
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებისგან		(112)	(27,814)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	7	158,943	155,405

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ.

ირაკლი ელაშვილი

ლევან წუწუნავა

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

მმართველი პარტნიორი

თარიღი: 28 მარტი, 2024

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
პერიოდის მოგება დაბეგვრამდე		460,522	246,002
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		1,131	-
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებისგან		112	27,814
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		461,765	273,816
სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		152	(152)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება		3,461	(5,961)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)		2,927	(469)
საგადასახადო ვალდებულების ზრდა/(შემცირება)		723	533
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		469,027	267,768
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებები		(8,480)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(8,480)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		11,300	-
მიღებული სუბორდინირებული სესხი		2,976	-
გაცემული დივიდენდი		(380,182)	(200,000)
გადასახადები		(90,991)	(48,126)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(456,897)	(248,126)
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/(შემცირება)		3,650	19,642
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		155,405	163,577
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებისგან		(112)	(27,814)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	7	158,943	155,405

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ.

ირაკლი ელაშვილი

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

თარიღი: 28 მარტი, 2024

ლევან წუწუნავა

მმართველი პარტნიორი

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სუბორდინირებული სესხი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	162,748	2,172	-	164,920
2022 წლის წმინდა მოგება	-	208,402	-	208,402
გამოცხადებული დივიდენდი	-	(210,526)	-	(210,526)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	162,748	49	-	162,797
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11,300	-	-	11,300
2023 წლის წმინდა მოგება	-	389,539	-	389,539
გამოცხადებული დივიდენდი	-	(400,191)	-	(400,191)
მიღებული სუბორდინირებული სესხი	-	-	2,976	2,976
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	174,048	(10,603)	2,976	166,421

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ.

ირაკლი ელაშვილი

ლევან წუწუნავა

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

მმართველი პარტნიორი

თარიღი: 28 მარტი, 2024

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სუბორდინირებული სესხი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	162,748	2,172	-	164,920
2022 წლის წმინდა მოგება	-	208,402	-	208,402
გამოცხადებული დივიდენდი	-	(210,526)	-	(210,526)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	162,748	49	-	162,797
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11,300	-	-	11,300
2023 წლის წმინდა მოგება	-	389,539	-	389,539
გამოცხადებული დივიდენდი	-	(400,191)	-	(400,191)
მიღებული სუბორდინირებული სესხი	-	-	2,976	2,976
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	174,048	(10,603)	2,976	166,421

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ.



ირაკლი ელაშვილი

მმართველი პარტნიორი/დირექტორი

თარიღი: 28 მარტი, 2024



ლევან წუწუნავა

მმართველი პარტნიორი

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორის" (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას.

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წლის 15 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, ქართული კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 405482721. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალო, ლისი ვერანდა, იასაძნების ქ. 5, ბ. 3.

კომპანიის დამფუძნებლები არიან ირაკლი ელაშვილი და ლევან წუწუნავა, რომლებიც 2023 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიაში ფლობენ შესაბამისად 75%-იან და 25%-იან წილებს (2022 წლის 31 დეკემბრისათვის, შესაბამისად, 75% და 25%). ანგარიშგების გამოცემის მომენტში ირაკლი ელაშვილი და ლევან წუწუნავა არიან კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირები.

კომპანიის დირექტორი არის ირაკლი ელაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას ფასიანი ქაღალდების განთავსების თაობაზე და კორპორატიული ფინანსების მიმართულებით სხვადასხვა ფინანსური რჩევების მიცემას კომპანიების და ინვესტორებისათვის. 2021 წლის 9 ნოემბერს კომპანიამ ეროვნული ბანკისგან მიიღო საბროკერო საქმიანობის ლიცენზია "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა"-დ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების მიზნით.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს:

- რჩევებს კაპიტალის, სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიისა და დაფინანსების მოძიების მიმართულებით;
- რჩევებს კორპორატიული ფინანსების მიმართულებით, შერწყმის, შესყიდვის ან გასხვისების სტრატეგიული ამოცანების დაგეგმვისა და პროექტის მართვისა და დასრულების ნაწილში;
- საკონსულტაციო მომსახურებას ინვესტიციების სტრუქტურირების და აქტივების დაცვის მიმართულებით.

შენიშვნა 2 მომზადების საფუძველი

2.1 ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“). ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელთაც აქვთ გავლენა წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და დაყოფილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ა) ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან

ბ) ბასს 12-ის შესწორებები – „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე პილარის მოდელის წესები“.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან

ეს შესწორების დოკუმენტი მოითხოვს, რომ კომპანიამ მთლიანი (ბრუტო) თანხით აღიაროს იმ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წინათ აღიარებული იყო ნეტო საფუძველზე. ეს გავლენას არ ახდენს ბალანსში ასახულ თანხებზე, ვინაიდან ეს თანხები ისევ ურთიერთგადაფარავს ექვემდებარება ბასს 12-ის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, მე-8 შენიშვნაში ზემოაღნიშნული თანხები წარმოდგენილია ბრუტო სახით. წინა პერიოდში გამჟღავნებული მონაცემები ასევე შეიცვალა ამ შესწორებების

ბ) ბასს 12-ის შესწორებები – „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე პილარის მოდელის წესები“.

ზემოაღნიშნული შესწორებები კომპანიას საშუალებას აძლევს, არ აღიაროს ის გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მეორე პილარის საგადასახადო რეფორმასთან. საგადასახადო რეფორმის (მეორე პილარის კანონმდებლობის ძალაში შესვლის) მდგომარეობის გაურკვეველი ხასიათის გამო, კომპანიამ ვერ შეძლო ამ რეფორმის მოსალოდნელი რაოდენობრივი გავლენის შეფასება იმ გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული არ იყო მიმდინარე პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. წინა პერიოდში არანაირი თანხები არ არის აღიარებული მეორე პილარის მოდელის წესებთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც უნდა გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული შესწორება.

3.2 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ა) ბასს 1-ის შესწორებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და

ბ) ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

გ) ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები – მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ბასს 1-ის შესწორებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და

ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

ზემოაღნიშნული ორივე შესწორების დოკუმენტი ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული ყველა კონვერტირებადი სავალო ვალდებულების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, თუ ვალდებულება მოიცავს კონვერტაციის პირობას. ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ზოგიერთი ვალის კლასიფიკაციაზე და შესაძლოა სავალდებულო იყოს განმარტებით შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება არსებული კოვენანტების გავლენის შესახებ კომპანიაზე.

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები - მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ეს ცვლილება ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

შპს "ალფა კაპიტალ ელვინგორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.3 ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი (GEL).

3.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული არაფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2022 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844
1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.4228	3.2581

3.5 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს სავაჭრო მოთხოვნებად (ამორტიზებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადაზე ფლობილად (ამორტიზებული ღირებულება). ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.5 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით იმ შემთხვევაში თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ, იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორებიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნეს მოდელის (და ან ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგ: ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნესმოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, "ყველაზე უარესი" ან "სტრესული შემთხვევების" სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.5 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

"ძირითადი თანხა" ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის საბოლოო გამოყენების მანძილზე (მაგ: იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/დისკონტის ამორტიზაცია). ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. იმისთვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიც არის ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისთვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება;
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის გამოყენება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.5 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როცა ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება, როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებებს ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება ლიცენზიებისგან. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ზარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწვევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან.

აქტივების ჯგუფი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

ცვეთის განაკვეთი

20%

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადეს გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შეედრება მის საბალანსო მაჩვენებელთან. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შესაფასებელ ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

3.10 გადახდილი ავანსები

ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული გადახდილი ავანსის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

3.11 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება კომპანიაში პარტნიორთა მიერ შეტანილი აქტივების რეალური ოდენობით.

დივიდენდი

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

3.12 სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის პირობებში მომსახურების შეძენაზე წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლებისადმი. კრედიტორული დავალიანება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

3.13 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულებების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია, ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი.

3.14 შემოსავლის აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

3.14 შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

თითოეულ კლიენტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს, განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს, გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

3.15 ხარჯის აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.16 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე, 103-ე, და 98-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა).

3.17 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცემული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე;
- არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

შენიშვნა 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებას და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისაც და ფინანსური შედეგებისთვის.

4.1 საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მასზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 5 არამატერიალური აქტივები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი არამატერიალური აქტივები წარმოადგენს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ლიცენზიას, რომლის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 5,000 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრისათვის: 5,000 ლარი).

შენიშვნა 6 ძირითადი საშუალებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებები წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდში შექმნილ მავიდეებს, რომლის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 7,349 ლარს.

შენიშვნა 7 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ფული ბანკში (დოლარი)	120,354	131,411
ფული ბანკში (გირვანქა სტერლინგი)	24,159	23,328
ფული ბანკში (ლარი)	11,453	666
ფული ბანკში (ევრო)	2,976	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	158,943	155,405

შენიშვნა 8 გადახდილი ავანსები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდილი ავანსი მოიცავს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ცვლილებასთან დაკავშირებით წინასწარ გადახდილ თანხას, რომელიც შეადგენს 2,500 ლარს. (2022 წლის 31 დეკემბერი : 5,961 ლარი)

შენიშვნა 9 სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი" ფლობს სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებას 6,115 ლარის ოდენობით, რომელიც ძირითადად წარმოადგენს აუდიტორული მომსახურების ღირებულებას (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,188 ლარი).

შენიშვნა 10 საგადასახადო ვალდებულება

2023 წლის განმავლობაში კომპანიას გადახდილი აქვს მოგების, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი" ფლობს საგადასახადო ვალდებულებას 1,256 ლარის ოდენობით. (2022 წლის 31 დეკემბერი: 533 ლარი).

შენიშვნა 11 სუბორდინირებული სესხი

2023 წლის 27 დეკემბერს, კომპანიას აღებული აქვს სუბორდინირებული სესხი შპს "ელთი კონსალტინგი"-სგან, 1,000 ევროს რაოდენობით. კომპანიას არ აქვს ვალდებულება აღნიშნული სესხის დაფარვის, გარდა ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევისა. ამასთან, კომპანიას აქვს უფლება, და არა ვალდებულება, რომ სესხის გაცემიდან 5 წლის შემდეგ, გამოიყენოს ე.წ. ქოლ-ოფციის უფლება და დაფაროს სესხი. ამ პირობებიდან გამომდინარე, აღნიშნული სესხი წარმოადგენს კაპიტალის მუხლს. კომპანიის ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში, მსესხებელი სესხს გადაიხდის მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაფარავს ყველა კრედიტორის ვალდებულებას.

შენიშვნა 12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ და, შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 174,048 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 162,748 ლარი).

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორის" 2023 წლის განმავლობაში მეწილეებზე გაცემული აქვს დივიდენდები 380,182 ლარის ოდენობით. (2022 წლის განმავლობაში 200,000 ლარი)

შენიშვნა 13 შემოსავალი მომსახურებიდან

კომპანიის შემოსავლები 2023 წლისათვის შეადგენს 485,041 ლარს, რომელიც მოიცავს შემოსავალს საკონსულტაციო მომსახურებიდან კორპორაციული კლიენტებისთვის ფასიანი ქაღალდების განთავსების თაობაზე და კორპორატიული ფინანსების მიმართულებით სხვადასხვა ფინანსური რჩევების მიცემისაგან (2022 წლისათვის: 281,989 ლარი).

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 14 სხვა შემოსავალი

2023 წელს კომპანიის მიერ აღიარებული სხვა შემოსავლები წარმოადგენს ეკონომიკური კვლევის მომსახურებიდან შემოსავალს. აღნიშნული შემოსავლები 2023 წლისთვის შეადგენს 3,000 ლარს (2022 წელი: 4,760 ლარი).

შენიშვნა 15 კურსთაშორისი სხვაობის ხარჯი

კომპანიის კურსთაშორისი სხვაობის ხარჯი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 112 ლარს, რაც მოიცავს ფულადი სახსრებისა და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების გადაფასების შედეგს (2022 წლის 31 დეკემბრისათვის: 27,814 ლარი).

შენიშვნა 16 კვლევის ხარჯი

კომპანიის კვლევის ხარჯი მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია კომპანიის მხრიდან და საბოლოოდ ექვემდებარება კომპანიის კლიენტის მიერ ანაზღაურებას, რაც 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შეადგენს 4,296 ლარს. აღნიშნული ხარჯი კომპანიას 2023 წელს არ ჰქონია.

შენიშვნა 17 პროფესიული მომსახურების ხარჯი

პროფესიული მომსახურების ხარჯი შედგება 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და სერვის ორგანიზაციის ხარჯისგან, რომელიც, შესაბამისად, შეადგენს 9,086 ლარს (2022 წლისათვის: 2,702 ლარი).

შენიშვნა 18 სხვა ხარჯი

სხვა ხარჯი მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯებს, რომელიც შეადგენს 2023 წელს 2,126 ლარს. (2022 წლისათვის: 4,322 ლარი).

შენიშვნა 19 წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი

წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი მოიცავს კომპანიის მიერ გამართული ღონისძიებებისთვის გაწეულ და მივლინების ხარჯებს, რომელიც 2023 წლისთვის წარმოადგენს 12,492 ლარს. (2022 წლისათვის წარმომადგენლობითი ხარჯი: 1,972 ლარი, რომელიც სხვა ხარჯებშია წარდგენილი)

შენიშვნა 20 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები

20.1 სასამართლო დავები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით არის ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

20.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირება დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

შენიშვნა 21 ფინანსური რისკების მართვა

21.1 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე. კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკის მატარებელი მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

21.2 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის

	წარმოდგენილი			ევრო	სულ
	ლარი	აშშ დოლარი	გირვანქა სტერლინგი		
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,453	120,354	24,159	2,976	158,943
სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	11,453	120,354	24,159	2,976	158,943
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	354	5,761	-	-	6,115
სულ ფინანსური ვალდებულებები	354	5,761	-	-	6,115
სავალუტო პოზიცია	11,099	114,593	24,159	2,976	152,828

2022 წლის 31 დეკემბრისათვის

	წარმოდგენილი			სულ	
	ლარი	აშშ დოლარი	გირვანქა სტერლინგი		
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები		666	131,411	23,328	155,405
სხვა მოთხოვნები		152	-	-	152
სულ ფინანსური აქტივები		818	131,411	23,328	155,557
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები		-	3,188	-	3,188
სულ ფინანსური ვალდებულებები		-	3,188	-	3,188
სავალუტო პოზიცია		818	128,222	23,328	152,369

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს იმ შესაძლო ეფექტს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე, მოცემულ თარიღზე, რომელსაც გამოიწვევდა აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსისა და გირვანქა სტერლინგი/ლარის შესაძლო ცვლილებები.

31 დეკემბერი, 2023

გაცვლითი კურსის ცვლილებები:		გავლენა/ცვლილება	
		მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	10%	11,459	9,740
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	5%	5,730	4,870
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	(10%)	(11,459)	(9,740)
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	(5%)	(5,730)	(4,870)

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

21.2 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2023

		გავლენა/ცვლილება	
გაცვლითი კურსის ცვლილებები:		მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი
ლარი გაუფასურდა გირვანქა სტერლინგის მიმართ	10%	2,416	2,054
ლარი გაუფასურდა გირვანქა სტერლინგის მიმართ	5%	1,208	1,027
ლარი გამყარდა გირვანქა სტერლინგის მიმართ	(10%)	(2,416)	(2,054)
ლარი გამყარდა გირვანქა სტერლინგის მიმართ	(5%)	(1,208)	(1,027)

31 დეკემბერი, 2022

		გავლენა/ცვლილება	
გაცვლითი კურსის ცვლილებები:		მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	10%	12,822	10,899
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	5%	6,411	5,449
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	(10%)	(12,822)	(10,899)
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	(5%)	(6,411)	(5,449)

31 დეკემბერი, 2022

		გავლენა/ცვლილება	
გაცვლითი კურსის ცვლილებები:		მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი
ლარი გაუფასურდა გირვანქა სტერლინგის მიმართ	10%	2,333	1,983
ლარი გაუფასურდა გირვანქა სტერლინგის მიმართ	5%	1,166	991
ლარი გამყარდა გირვანქა სტერლინგის მიმართ	(10%)	(2,333)	(1,983)
ლარი გამყარდა გირვანქა სტერლინგის მიმართ	(5%)	(1,166)	(991)

21.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიმართ არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის არაწარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, დარჩენილი მოსალოდნელი ვადიანობისა და არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები, მთლიანად დაფუძნებულია კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ნაშთი 31 დეკემბერი, 2023

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	158,943				158,943
სხვა მოთხოვნები	-				-
სულ ფინანსური აქტივები	158,943	-	-	-	158,943
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	6,115	-	-	-	6,115
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,115	-	-	-	6,115
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	152,828	152,828	152,828	152,828	

შპს "ალფა კაპიტალ ედვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

21.3 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ნაშთი 31 დეკემბერი, 2022

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	155,405	-	-	-	155,405
სხვა მოთხოვნები	152	-	-	-	152
სულ ფინანსური აქტივები	155,557	-	-	-	155,557
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	3,188	-	-	-	3,188
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,188	-	-	-	3,188
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	152,369	152,369	152,369	152,369	

21.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და მისაღები დებიტორული დავალიანებიდან. ანგარიშგების დღისათვის კომპანიას არ აქვს სხვა ფინანსური აქტივები, ამიტომ მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფული და ფულის ეკვივალენტები	158,943	155,405
სხვა მოთხოვნები	-	152
სულ საკრედიტო რისკი	158,943	155,557

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია მაღალი სანდოობის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, რაც მენეჯმენტს აძლევს გარანტიას, რომ არ არსებობს საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულსა და ფულის ეკვივალენტების ნაშთებთან.

შენიშვნა 22 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშგვალდებული საწარმო").

- ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშგვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:
 - (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშგვალდებულ საწარმოს;
 - (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგვალდებულ საწარმოზე; ან
 - (iii) არის ანგარიშგვალდებული საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.
- ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშგვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
 - (i) ეს საწარმო და ანგარიშგვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
 - (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;

შპს "ალფა კაპიტალ ელვაიზორი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 22 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წლის 31 დეკემბერი	სუბორდინირებული სესხი
სხვა დაკავშირებული მხარეები	2,976
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წელი	გაცემული დივიდენდი
მეწილეები	380,182
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წელი	გაცემული დივიდენდი
მეწილეები	200,000
ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	სხვა მოთხოვნები
მეწილეები	152

შენიშვნა 23 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, კომპანიამ განახორციელა 16,000 ლარის ოდენობის დივიდენდის გადახდა კომპანიის დამფუძნებლებზე.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგება, 2023 წელი
შპს „ალფა კაპიტალ ელვაიზორი“

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ალფა კაპიტალ ელვაიზორი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წლის 15 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 405482721. კომპანიის მმართველი ორგანოა პარტნიორთა კრება და კომპანიის მენეჯმენტი, წარმოდგენილი მისი დირექტორის მიერ. ამ მომენტისათვის კომპანიას არ გააჩნია არც ერთი ფილიალი და მთლიანი მმართველობა ხდება ცენტრალიზებულად.

კომპანიამ 2021 წლის 9 ნოემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკისგან“ მოიპოვა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ა“-„დ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების ლიცენზია და დააკმაყოფილა ლიცენზიის მოთხოვნით განსაზღვრული მინიმუმი კაპიტალის შევსება.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას ფასიანი ქაღალდების განთავსების თაობაზე და კორპორატიული ფინანსების მიმართულებით სხვადასხვა ფინანსური რჩევების მიცემას კომპანიებისათვის და ინვესტორებისათვის. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- რჩევები სავალო კაპიტალის მიმართულებით: ამ ნაწილში კომპანია კორპორაციულ კლიენტებს სთავაზობს სავალო ფასიანი ქაღალდების (ე.წ. ობლიგაციების) ემისიას ადგილობრივ და საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე, რაც მოიცავს ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მოძიებას ფასიანი ქაღალდში ინვესტირებისათვის. ასევე კომპანია კლიენტებს აძლევს დაფინანსების დივერსიფიცირებისათვის საჭირო მიუკერძოებელ რჩევებს და ეხმარება მათ სხვადასხვა ტიპის სავალო პროდუქტის მოზიდვის სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- რჩევები კორპორატიული ფინანსების მიმართულებით: კომპანია კლიენტებს აძლევს რჩევებს კორპორატიული ფინანსების მიმართულებით, რაც გულისხმობს შერწყმის, შესყიდვის ან გასხვისების სტრატეგიული ამოცანების დაგეგმვასა და განხორციელებას. კომპანია უზრუნველყოფს შერწყმისა და შესყიდვის სერვისს მყიდველის ან გამყიდველის მხარეს, რაც მოიცავს შესაბამისი პროექტის მართვას მის დასრულებამდე, შესაბამის ბიზნეს ანალიტიკასა და კომპანიის შეფასებას და ზოგადად ამ მიმართულებით საინვესტიციო-საბანკო მომსახურების გაწევას. აღნიშნული მომსახურება ასევე მოიცავს იმ შემთხვევას როდესაც კომპანიის შესყიდვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ (ე.წ. management buy-out). დამატებით, კომპანია მზადაა შერწყმის, შესყიდვის ან გასხვისების პროექტის ფარგლებში, კლიენტს დაეხმაროს შესაბამისი დაფინანსების მოძიებაში, იქნება ეს ფასიანი ქაღალდის ემისიითა თუ სხვა ტიპის დაფინანსების მოძიებით. ასევე, კომპანია კლიენტებს სთავაზობს კაპიტალის მოზიდვის მომსახურებას კერძო (ე.წ. Private Equity) ან საჯარო (ე.წ. Initial Public Offering ან IPO) განთავსების მეშვეობით.
- საკონსულტაციო მომსახურება (საკონსულტაციო მომსახურებას ინვესტიციების სტრუქტურირების და აქტივების დაცვის მიმართულებით.) და ახალი ბიზნესები: კომპანია ასევე ახორციელებს დამოუკიდებელ საკონსულტაციო მომსახურებას ინვესტირების, ინვესტიციების სტრუქტურირების და აქტივების დაცვის

მიმართულებით. აღნიშნულ ნაწილში კომპანია იყენებს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე აპრობირებულ და ინოვაციური მიდგომებს კლიენტის სიმდიდრის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად. საკონსულტაციო მომსახურებები მოიცავს თემატური რჩევებს, საკრედიტო სარეიტინგო მომსახურებას, საინვესტიციო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ადმინისტრირების ნაწილში რჩევებს; ასევე, კონსულტაციებს ფინანსური ტექნოლოგიების და ინოვაციების გარშემო და კონსულტაციებს კერძო კაპიტალის ინვესტირების ნაწილში. ახალი ბიზნესების ნაწილში, კომპანია და კომპანიის პარტნიორები მუდმივად მუშაობენ და ფიქრობენ საქართველოსა და რეგიონის კაპიტალის ბაზრების გაღრმავების მიმართულებით; აღნიშნული მიმართულებით ჩვენი მოლოდინია რომ, კომპანიის და მისი პარტნიორების შუამდგომლობით, ბაზარზე განხორციელდება არა-ერთი ინოვაციური ტრანზაქცია და გაჩნდება არა-ერთი ახალი კომპანია, კაპიტალის ბაზრის სხვადასხვა სფეროში.

„ალფა კაპიტალი ედვაიზორის“ მიზანია აქტიური წვლილი შეიტანოს საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის კაპიტალის ბაზრის განვითარებაში, ხელი შეუწყოს კომპანიებს დაფინანსების დივერსიფიცირებასა და შერწყმით, შესყიდვითა ან გასხვისებით დამატებითი ღირებულების შექმნაში. კომპანია საკუთარ კლიენტებს სთავაზობს მიუკერძოებულ და უმაღლესი ხარისხის საინვესტიციო-საბანკო ექსპერტიზას, პრობლემების ინოვაციურ გადაწყვეტასა და მიდგომას, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ - **„ალფა კაპიტალ ედვაიზორის“ კლიენტებს მიაღწევის სასურველი სტრატეგიული შედეგი.**

კომპანიამ დაფუძნების დღიდან საკუთარ სლოგანად აირჩია აშშ-ს 30-ე პრეზიდენტის, ქელვინ ქულიჯის ფრაზა: „მსოფლიოში ვერაფერი ჩაანაცვლებს შეუპოვრობას: ნიჭი ვერ ჩაანაცვლებს; უამრავია წარუმატებელი ნიჭიერი ადამიანი. გენიოსობა ვერ ჩაანაცვლებს; უამრავია დაუფასებელი გენიოსი. განათლება ვერ ჩაანაცვლებს; ბევრია მიტოვებული განათლებული ადამიანი. მხოლოდ მიზანსწრაფვასა და შეუპოვრობაში უსაზღვრო ძალა. სლოგანი „წინ!“ წარსულშიც ყოველთვის ჭრიდა და ეხლაც ჭრის კაცობრიობის პრობლემებს.“

ჩვენი აზრით, კომპანიის მიმდინარე შედეგიც ამ სლოგანის შესაბამისია. საქართველოს კაპიტალის ბაზარზე პირველად გაჩნდა დამოუკიდებელი მოთამაშე, რომელიც საქართველოშიც და რეგიონალურ ბაზარზეც საშუალო და მსხვილ კომპანიებს სთავაზობს მიუკერძოებელ საინვესტიციო საბანკო მომსახურებასა და კონსულტაციებს. კომპანიამ 2022 წელს პარტნიორული ურთიერთობა დაამყარა საქართველოში ერთ-ერთ საბანკო ჯგუფთან, რომელიც ბაზარზე, „ალფა კაპიტალ ედვაიზორის“ შუამდგომლობის შედეგად, სავალო ფასიანი ქაღალდის (ობლიგაციის) ემიტენტებს სთავაზობს ფისკალური აგენტისა და ანგარიშსწორების მომსახურებას, საერთაშორისო საფინანსო ბაზრების პრაქტიკის შესაბამისად.

კომპანიამ 2022 წელს დაიწყო რამოდენიმე პროექტი სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიის ნაწილში საქართველოში და განახორციელა რამოდენიმე საერთაშორისო საკონსულტაციო პროექტი, მ.შ. დიდ ბრიტანეთსა და მეზობელ აზერბაიჯანში. ჩვენ მადლობელი ვართ ჩვენი პირველი კლიენტების მაღალი ნდობისათვის და მათთან პარტნიორული თანამშრომლობისათვის. 2023 წელს კომპანიამ კიდევ უფრო გააღრმავა თავის საქმიანობა და მოახდინა ქართულ ბაზარზე სამი სავალო ფასიანი ქაღალდის ემისია. ერთ-ერთი ემისია განხორციელდა მწვანე-ლურჯ მდგრადი დაფინანსების ფორმატში, რაც პირველი ასეთი ფასიანი ქაღალდია საქართველოს კაპიტალის ბაზარზე. მწვანე-ლურჯი ემისია განხორციელდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მხარდაჭერით, რაც ხაზს უზვავს მდგრადი დაფინანსების მხარდაჭერას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ სამივე სავალო ფასიანი ქაღალდის ემისია განახორციელეს კომპანიებმა, რომლებიც პირველად გამოვიდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რაც კომპანიის მხრიდან საქართველოს კაპიტალის ბაზრის გაღრმავების ნათელი მაგალითია.

საქართველოში კომპანია მნიშვნელოვან დროს უთმობს კორპორაციული კლიენტების კაპიტალის ბაზრის შესახებ განათლების საკითხს, განსაკუთრებით სავალო ფასიანი ქაღალდის ემისიის ნაწილში. მიუხედავად სავალო ფასიანი ბაზრის მნიშვნელოვანი გააქტიურებისა (რომელიც ჩვენი აზრით საქართველოში აქტიურად დაიწყო 2018 წელს ბაზარზე ახალი, რიგით მე-2 კონკურენტის გაჩენის შემდეგ), ვხედავთ რომ წამყვანი საშუალო თუ დიდი ზომის კომპანიების (მ.შ. ამ კომპანიების მფლობელების, გენერალური დირექტორებისა თუ ფინანსური დირექტორების) განათლების დონე აღნიშნულ საკითხში მწირია. როგორც კაპიტალის ბაზრისა და სავალო ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) ბაზრის ახალი კონკურენტი მოთამაშე, კომპანია საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევს გააგრძელოს ამ მიმართულებით კომპანიების განათლების აქტიური საქმიანობა. ვთვლით, რომ კაპიტალის ბაზრის საკითხების შესახებ პოტენციური ემიტენტების განათლება, კონკურენტული გარემოს შექმნასთან ერთად, საქართველოში კაპიტალის ბაზრის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. რაც შეეხება კვლევების წარმოებას, კომპანიას 2023 წელს ამ მიმართულებით არ განუხორციელებია სამუშაოები, მაგრამ 2024 წლიდან იგეგმება კვლევის მიმართულების განვითარების დაწყება.

კომპანია ათვითცნობიერებს რომ ნებისმიერ „სტარტაპს“ სჭირდება მომხმარებლებზე ორიენტირებული მოწინავე იდეა(ები) და პროდუქტ(ებ)ი, სწორი სტრატეგია და ძლიერ გუნდი. ვთვლით რომ ამ მიმართულებით, როგორც საქართველოს კაპიტალის ბაზრის ახალი „სტარტაპი“, მნიშვნელოვნად გამოვიჩინეთ საქართველოს საბროკერო ბაზარზე ჩვენი კონკურენტებისგან და გავაჩნია რიგი სტრატეგიული უპირატესობები, რომელთა სიაში მთავარი არის კომპანიის **მიუკერძოებლობა**. დამატებით გამოვყოფდით: კაპიტალის ბაზრისა და კაპიტალის ბაზრის პროდუქტების დრმა ცოდნას, კომპანიის გუნდის მრავალწლიან გამოცდილებას (რაც მოიცავს ადგილობრივსა და ასევე საერთაშორისო საინვესტიციო ბანკებში მიღებულ გამოცდილებას) და **კლიენტზე ორიენტირებული** გამოსავლის მოძიებასა და იმპლემენტაციას.

2022 წელს კომპანიამ, როგორც კაპიტალის ბაზარზე დამწყებმა „სტარტაპმა“, ძლიერ ფინანსური შედეგებს მიაღწია, ხოლო 2023 წელს ეს შედეგები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. დეტალური ინფორმაცია მოცემულია კომპანიის ფასს სტანდარტით აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2023 წელს კომპანიამ მოახდინა დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება და გაზარდა მისი კაპიტალი სუბორდინირებული სესხის მოზიდვით, რაც ჩვენი შეფასებით, სექტორის მოთამაშის ფონდირების ინოვაციური მიდგომაა საქართველოს ბაზარზე (დეტალები იხილეთ 2023 წლის აუდიტის ანგარიშგებაში).

განვითარების საწყის ეტაპზე, კომპანია მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს შემდეგ ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს: უკუგება საშუალო კაპიტალზე (მომგებიანობის კოეფიციენტი რომელიც ანგარიშდება მიმდინარე წლის მოგების შეფარდებით გასული წლისა და მიმდინარე წლის კაპიტალის გასაშუალოებულ მაჩვენებელზე), შემოსავლის ჯამური მოცულობა და საოპერაციო დანახარჯების შეფარდება შემოსავალთან. სამივე აღნიშნული პარამეტრის ნაწილში, კომპანიას 2023 წლის საქმიანობის შედეგი, საკუთარი შეფასებით, საკმაოდ წარმატებული იყო და შეესაბამებოდა პერიოდის დასაწყისში დასახულ გეგმებს (კოეფიციენტები მოცემულია 31.12.2023-ის მდგომარეობით აუდიტირებულ მონაცემებზე დაყრდნობით):

- უკუგება საშუალო კაპიტალზე (Return on Average Equity): 237%
- ჯამური შემოსავალი: 488,041 ლარი
- საოპერაციო დანახარჯების შეფარდება შემოსავალთან (Cost to Income Ratio): 5.6%

კომპანია ასევე დიდ ყურადღებას აქცევს შესაბამის რისკების მართვას. მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შესაბამისი რისკების მართვის მოკლე აღწერა მოცემულია ქვევით:

- **საპროცენტო რისკი** - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ გააჩნია ისეთი ვალდებულებები რომლის საბაზრო ღირებულება შეიძლება შეიცვალოს საპროცენტო განაკვეთის მერყეობის გამო. აქტივების უმეტესი ნაწილი კი განთავსებულია ფული და ფულის ეკვივალენტებში. აქედან გამომდინარე ამ მომენტისათვის კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო რისკი და შესაბამისად არ არის საჭიროება ამ რისკის მართვის.
- **ლიკვიდურობის რისკი** - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. კომპანიას არ გააჩნია სავალო ვალდებულებები, ხოლო სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის ძალიან მცირე და არამატერიალური. რაც შეეხება ლიკვიდურ აქტივებს მათი უმეტესი ნაწილი განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე ფული და ფულის ეკვივალენტებში. აქედან გამომდინარე კომპანიას არ გააჩნია რაიმე მატერიალური ლიკვიდურობის რისკი და შესაბამისად ამ მომენტში არ ხორციელდება მისი აქტიური მართვა.
- **სავალუტო რისკი** - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიას გააჩნია სავალუტო რისკი რადგან მისი უმეტესი ლიკვიდური აქტივები განთავსებულია უცხოურ ვალუტაში ხოლო კომპანიის ანგარიშწარმოების ვალუტა არის ქართული ლარი (კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები არამატერიალურია). კომპანიის მართველობას გააჩნია ხედვა რომ ლარის მორიგი მნიშვნელოვნად გამყარება არ არის მოსალოდნელი და აქედან გამომდინარე კომპანია შეგნებულად ინარჩუნებს მიმდინარე სავალუტო პოზიციას.
- **საკრედიტო რისკი** - საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაქტის მიერ დებიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასანეიტრალებლად, მომსახურების დაწყებამდე და მომსახურების პერიოდშიც. 2023 წლის ბოლოსთვის კომპანიას გააჩნდა მხოლოდ არამატერიალური საკრედიტო რისკები.

მიუხედავად საწყის ეტაპზე ფინანსური წარმატებისა, 2023 წელს სირთულეების გარეშე არ ჩაუვლია: 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის მიმართ დაწყებულმა ომმა და აღნიშნულით გამოწვეულმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ ნეგატიური გავლენა იქონია კლიენტების მოლოდინებზე ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების მიმართ. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2023 წლის ბოლოს ბანკების კაპიტალის ბუფერების ლიმიტების გადავადებამ, გამოიწვია კომპანიის მნიშვნელოვანი პროექტის შეჩერება/დაყოვნება. მომავალშიც,

კომპანიისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს გეოპოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება. საქართველოს კაპიტალის ბაზარი, მიუხედავ ძლიერი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზისა და გარკვეული მიმართულებებით უკვე მოქმედი პროდუქტებისა (ნიშანდობლივად, სავალო ფასიანი ქაღალდების ნაწილში), კვლავ განვითარების ადრეულ საფეხურზეა. კომპანია აღნიშნულ გამოწვევას უყურებს როგორც შესაძლებლობას და მოტივაციას რომ კაპიტალის ბაზრის გაღრმავებაში შეიტანოს საკუთარი წვლილი. არ არსებობს იმის გარანტია რომ აღნიშნულ კომპლექსურ და თვისებრივად კონკურენტულ ბაზარზე კომპანია მოახერხებს წარმატებით გაართვას თავი ყველა დასახულ მიზანს დასახულ დროში.

კომპანიის სამომავლო გეგმები მიზნად ისახავს არსებული საინვესტიციო საბანკო მომსახურების მიმართულებების კიდევ უფრო გაღრმავებას, გუნდის მორიგ გაძლიერებასა და საკუთარ კლიენტთა ბაზის ზრდას. კომპანიის ძირითადი ბაზარი საშუალო ვადაში დარჩება საქართველო, თუმცა კომპანია გააგრძელებს ოპორტუნისტულად განავითაროს საკუთარი ბიზნესი სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

საქართველოში, განსაკუთრებით ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაღრმავდა კაპიტალის ბაზრის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა. მიღებულია, მ.შ. 2023 წელს, არაერთი კანონი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას და შედეგად მეტი ემიტენტი კომპანიისა და ინვესტორის გაჩენას. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული უმეტესი დიდი და საშუალო ზომის კომპანიების გამჭვირვალობის დონე. ნიშანდობლივია ასევე საქართველოს მთავრობის კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და ხელშეწყობის გეგმა. დამატებით, უკვე სახეზეა კაპიტალის ბაზრის მიერ მწვანე ეკონომიკისა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობით საკითხების განვითარებაში შეტანილი როლი: 2023 წელს საქართველოში გამოშვებულია ხუთი კორპორატიული ობლიგაციის ადგილობრივი საჯარო ემისია მდგრადი დაფინანსების (ე.წ. ESG) ეგიდის ქვეშ. კაპიტალის ბაზრის შემდგომი განვითარება, კომპანიის აზრით, შესაძლოა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური სტიმულირებისა, მათ შორის მწვანე ეკონომიკის, და სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთი მთავარი ბირთვი.

მზად ვართ 2024 წელსაც „აღფა კაპიტალ ედვაიზორის“ მიზანსწრაფვა და შეუპოვრობა მივმართოთ საქართველოს კაპიტალის ბაზრის შემდგომი განვითარებისაკენ.



ირაკლი ელაშვილი

მართველი პარტნიორი

თარიღი: 28 მარტი, 2024